действуют на читателя. он всецело подвластен писателю.

В думах, действиях, поступках и личностных качествах литературного героя явно прослеживается попытка воплощения авторских идеалов.

По мнению А. Казбеги, борьба за самобытность и неприкосновенность Родины является высшим идеалом. Поэтому, для истинных горцев [illegible] и предков является высш[illegible] уши они и побеждают [illegible] определяет национальны[illegible] беги.

В Заключе[illegible]

809
-1653-
ქ-46
ქორაია ხ.ნ.
ეროვნული [illegible]
ჩრდ.
-1653-

გამომცემლობა „ინტელექტი“
✉: ი. ჭავჭავაძის გამზირი №2
☎: 22 43 63

809
ქ-46

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რამაზ ანდრეს ძე ჭილაია

ლიტერატურული გმირის პრობლემა (ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის შემოქმედების მიხედვით)

10.01.08. ლიტერატურის თეორია

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი

ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. თუხარელი

ოფიციალური ოპონენტები — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზ. ჭარხალაშვილი

— ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. კოტორაშვილი

წამყვანი ორგანიზაცია —შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- 1653 -

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 30 ... საათზე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს . 10. 01 №5 სხდომაზე.

მისამართი: 3800028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი გაიგზავნა 29 ... 1998 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნ. დირექტორი, პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომში განხილულია ლიტერატურული გმირის პრობლემა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის შემოქმედებაში.

თემის აქტუალობა. ლიტერატურული გმირის პრობლემა ყოველთვის აქტუალურია ადამიანთა საზოგადოებისათვის, ვინაიდან ლიტერატურული გმირის მხატვრული სახე არის ანარეკლი ადამიანთა სულიერი მოძრაობისა; ხან მოწოდებაა მაღალი იდეალებისაკენ, ხან კი დასტური მათი სულიერი ტკივილისა თვით ამ გმირის უარყოფამდეც კი მისული, მაგრამ მომავალი თაობისათვის ლიტერატურული გმირის სახე ყოველთვის არის ერთგვარი ჟამთააღმწერელი მისი შექმნის ეპოქისა, მთხრობელი მისი შემოქმედის ამბისა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. თანამედროვე ხედვის პოზიციიდან კიდევ ერთხელ გამოკვლეულია ლიტერატურული გმირისა და ავტორის ურთიერთობის პრობლემა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები არის მხატვრულ სახეთა სისტემა, რომელიც აღიქმება ამ ნაწარმოების საერთო მხატვრულობად.

მხატვრული ნაწარმოები, როგორც მხატვრული სისტემა, ყალიბდებოდა უხსოვარი დროიდან და დღესაც მისი ნაირსახეობა სულ ახალ-ახალ სამოსელს მიელტვის. მისი შექმნის ტექნოლოგია საინტერესოა ადამიანთმცოდნეობის პოზიციიდანაც, როგორც სულიერი მოძრაობის ახალ სავალ გზათა და სივრცეთა ათვისების მოდელი.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია ტექსტოლოგიური, ფსიქოლოგიური ანალიზი, ფილოლოგიური კვლევის სტრუქტურულ-სისტემური მეთოდი.

კვლევის შედეგები. ყოველი მწერლის შემოქმედებითი თავისებურება, რომელიც გარკვეულ ესთეტიკურ სისტემად მოიაზრება, იმაშია, რომ ყოველი მისი ახალი ნაწარმოები ამზეურებს